საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 577 ხუთშაბათი, სექტემბრის 20 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 200,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო აკადემიური დრამის დირექცია

### იწვევს 1923—24 წლის სეზონისათვის

**მუდმივ თანამშრომელებს, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს გასამრჯელო თვიურათ.**

მსურველთ შეუძლიათ შემოიტანონ განცხადება რუსთაველის თეატრის კანცელარიაში 23 ენკენისთვემდე.

მისაღები გამოცდები დანიშნულია 24 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე, რუსთაველის თეატრში.

2—1 **თეატრის დირექცია.**

## დ ღ ი უ რ ი

— **საკავშირო გამოფენა დაიხურება 20 ოქტომბერს.**
— **გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კრიზისი.**
— **საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება ერთ წერტილზედ გაიყინა.**
— **წყალდიდობა იაპონიაში.**
— **რეინლანდს მოეხსნა ბლოკადა.**
— **გერმანიაში სოც.-დემ. პარტია მოითხოვს დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას საფრანგეთთან.**
— **იტალეთი ფიუმეს ახლოს თავს უყრის ჯარს.**

გაზეთი „ტრიბუნა“

**ენკენისთვის 15-დან ღირება:**

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 4.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 5.000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 200.000 „ |

## 26 კომუნარი

რევოლიუციონურ მოძრაობის გასწვრივ მრავალი მსხვერპლთა კოცონი აინთება. დიდი მოძრაობანი, დიდი რევოლიუციები სისხლის ნაკადებით აჩენს დალს ისტორიას. რამდენათაც რადიკალური დაპირისპირებაა ინტერესთა და შეთანაბრება მებრძოლ ძალთა, იმდენად მკაცრი და შეუბრალებელია რევოლიუციის, მოძრაობის პროცესი.

რუსეთის რევოლიუცია „სისხლიან რევოლიუციათა“ ციკლშია შესატანი. რუსეთის რევოლიუციამ თუ ერთი მხრით იმსხვერპლა რეაქციონური ნაგავი და რევოლიუციონურ ცეცხში დასწვა ყოველი ნაშთა გუშინდელი ყოფის, ხოლო მეორე მხრით გაილო დიდი რევოლიუციონური ენერგია, ისტორიის ფურცლებს გადასცა თავგანწირულ რევოლიუციონერთა უკვდავი სახელები.

ისტორია მეტად ძუნწია ჯარის—კაც მებრძოლთა მიმართ. ისტორიამ მაკედონელების, ნაპალეონების, გარიბალდების და ვაშინგტონების ბრძოლების აღწერა იცის და არა იმ ძალის, რომელიც სწყვეტდა ბედს და უბედობას დიდ მხედართა. რუსეთის რევოლიუციაშიაც მრავალი მსხვერპლი „უსახელოთ“ დაიკარგა, მრავალმა რევოლიუციონერმა განუტევა სული ბარიკადებზედ.

დღეს 26 კომუნარის დღეა.

ჩვენ არ შეუდგებით არც ამ პიროვნებათა ცალ-ცალკე შეფასებას, არც მომხდარი ტრაგედიის სურათის წარმოდგენას. ჩვენთვის მხოლოდ აღსანიშნივია, რომ დიდ რევოლიუციის მსხვერპლად იქცა და მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა თავის არსებობა 26 კომუნარმა.

რევოლიუციონერთა საფლავებს ცრემლი და ტირილი შეურაცყოფს. რევოლიუციონერთ საფლავებთან ფიცით უნდა მივიდეთ. ჯერ კიდევ მიზანი შორსაა და ბევრ მსხვერპლს შეიწირავს. გადამწყვეტი ბრძოლის დროს კიდევ მრავალ რევოლიუციონერთა თავგანწირვაა საჭირო. დაცემულთა საფლავები სამაგალითო უნდა იყოს მომავალ ბრძოლებში. დიდი მისია მსოფლიოს განთავისუფლებისა დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

დღეს რევოლიუციონური პატივი მიუძღვნად 26 კომუნარს და ფიცი დავსდოთ, რომ სიცოცხლეს არ დავზოგავთ და გამარჯვებას მოვიპოვებთ.

ზიზღი ანტანტის ჯალათებს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

## ტელეგ.-დეპეშები

### ზაკროსტას ცნობები 19 სექტემბრიდან

**გერმანიის ამბები.**

**ბერლინი.** მხოლოდ ერთი თვე გავიდა, რაც გერმანიაში არსებობს ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიების წარმომადგენლებისაგან შექმნილი კოალიციონური მთავრობა და ამ კოალიციის მთავარი პარტია—სოციალ-დემოკრატიული უკვე დიდმა კრიზისმა მოიცვა.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ერთი-მეორეზედ აცხადებენ კოალიციიდან გამოსვლას. შესაფერი რეზოლიუციები მიიღეს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ხემნიცში, ლაიპციგში, დრეზდენში, ტიურინგიაში, ბრანდერბურგში და ბერლინში.

ყველაზედ მნიშვნელოვანია ასეთი რეზოლიუციის მიღება ბერლინის ორგანიზაციის მიერ, სადაც პროფესიონალური და პარტიული ბიუროკრატია არის გამეფებული.

ფორვერტსი ძალიან სცდილობს დააშინოს მუშები, ვითომც მუშათა მთავრობა ვერ შეინარჩუნებს ძალა-უფლებას, მაგრამ მუშები ყურს არ უგდებენ და აცხადებენ, სოციალ-დემოკრატიულ აპარატების გაწმენდას კონტრ-რევოლიუციონერებისაგან, სახელმწიფოს კონტროლ წარმოებაზედ, ფულის ბეჭდვისა და სიძვირის შეჩერებას, ან არა და სოციალ-დემოკრატია უნდა გამოვიდეს კოალიციიდან.

ოპოზიციის მეთაურების აზრით, უმრავლესობა მათ მხარეზეა და ორ კვირაში პარტიას იძულებულს ჰყოფენ გამოვიდეს კოალიციიდან.

**პარიზი.** ბერლინსა და პარიზს შორის მოლაპარაკება ერთ წერტილზედ გაიყინა. როგორც სჩანს, საფრანგეთი არ არის დაინტერესებული მოლაპარაკების დაჩქარებაში, რადგანაც სურს შეინარჩუნოს რური.

„ჟურნალ ინდუსტრიელი“ აღნიშნავს, რომ შესაძლებელია სარეპარაციო გადასახადების აკრება გერმანიის მეურნეობაზედ გადასახადების გაწერით.

**ბორდო.** ოფიციალური ცნობებით ბელგიელებმა კონფისკაცია უყვეს 3 ნახ. ტრილიონ მარკას, რომელიც მათ იპოვეს გერმანიის აეროპლანზედ და, რომელიც გადადებული იყო პასიურ წინააღმდეგობისათვის.

**ბერლინი.** ბელგიის პრემიერმა ტენისმა განაცხადა, რომ შტრეზემანის მთავრობის გაჭირებამ შინაურს პოლიტიკაში გავლენა იქონია სარეპარაციო საკითხების მოგვარებაზედ. გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის საკითხის წამოყენება, მისი აზრით, ნაადრევია.

**ბერლინი.** ხმებია, რომ შტრეზემანი არ უპასუხებს პუანკარეს მის უკანასკნელ სიტყვებზედ, რადგანაც იგი უფრო ინგლისს ეხება, ვიდრე გერმანიას და თუმცა ეს სიტყვები არ უწყობენ ხელ უშუალო მოლაპარაკებას შეუშლიან ხელს.

**ბერლინი.** რეინლანდის საკავშირო კომისიამ ამ ოლქის რკინის გზების გამგებლობაში სრული თავისუფლება მისცა ფრანგებს.

**ბერლინი.** გერმანიაში კვლავ მოხდა მთელი რიგი უწესოებისა, სურსათის ნაკლებობის ნიადაგზედ. მღელვარება დამთავრდა სისხლის მღვრელ შეტაკებებით.

**ბერლინი.** შვეიცარიის მთავრობამ გერმანიის საზღვარზედ გააძლიერა სანაპირო ჯარი. ეს განკარგულება დაკავშირებულია მოსალოდნელ მასიურ ლტოლვილების შისვლასთან გერმანიიდან.

**ბერლინი.** ბადენის სამრეწველო რაიონში გაფიცვები ძლიერდება. ამ ჟამად მთელს გერმანიაში 25 პროც. ლითონის წარმოებისა არ მუშაობს.

**ბერლინი.** კაფეების პატრონების კავშირმა კელნში დაადგინა დახუროს ყველა კაფეები, რადგანაც მეტად დიდი გადასახადი გაეწერათ და წარმოება შეუძლებელია.

**მუშათა მოძრაობა.**

**რიგა.** (ლატვია). ტრამვაელების გაფიცვა დამთავრდა გაფიცულთა გამარჯვებით: ხელფასი გადიდდა 10 პროც. და ჯამაგირი მიეცემათ გაფიცვის დროსაც.

**თეირანი.** ინგლისის ცენზურის მიერ დაჭერილ ცნობებით, 28 აგვისტოს მთელს ინდოეთში გაიმართა ნაციონალური საპროტესტო დღე. ინდოეთის ნაციონალისტური გაზეთები სამგლოვიარო ჩარჩოებში იყო მოთავსებული. ყველა ქალაქებში გაიმართა მიტინგები და დემონსტრაციები შავი ბაირაღებით.

**თეირანი.** ოქტომბრის შუა რიცხვებში ინდოეთში იხსნება სრულიად ინდოეთის კონგრესის არა ჩვეულებრივი სესია. კონგრესმა უნდა გადასწყვიტოს ინდოეთის მცხოვრებთა მიერ საკანონმდებლო კრებისათვის ბოიკოტის გამოცხადების საკითხი. სვარაჯის პარტია მოითხოვს საკანონმდებლო კრებაში შესვლას, რათა შიგნიდან ააფეთქონ იგი.

ციხიდან გაანთავისუფლეს ეროვნულ მოძრაობის მეთაური მაგომეტ-ალი.

**რომი.** რეინალანდის ოლქსა და დანარჩენ გერმანიას შორის აღდგენილია მიმოსვლა. ამრიგად ბლოკადა რეინლანდს მოეხსნა.

**პარიზი.** გერმანიაში გააუქმეს ყველა დადგენილებები ექსპორტის შესახებ, გარდა სურსათისა და პირველ საჭიროებას საგნებისა. ფიქრობენ, რომ დაწესდება სასურსათო დიქტატურა.

**პარიზი.** სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად დაადგინა, რომ გერმანიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საფრანგეთთან მოლაპარაკება.

**ლონდონი.** კანადის ტრედ-უნიონების კონგრესმა ვანკუვერში უკუაგდო წინადადება საერთო გაფიცვის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება ახალი ომი. მიიღეს რეზოლიუცია „ერთა ლიგისათვის დაჭერის შესახებ.

**ანგორა.** კონსტანტინოპოლში მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება. გამოდის მხოლოდ ერთი მუშა-გაზეთი.

## უ ც ხ ო ე თ ი

**ვარშავა.** (პოლონეთი) ლონდონში მყოფი პოლონეთის ფინანსთა მინისტრი კუხარსკი მოლაპარაკებას აწარმოებს მორგანის ჯგუფთან. მრჩევლად პოლონეთში მოწვეულია ამ ჯგუფის წარმომადგენელი იუნკი.

**ვარშავა.** „კურიერ პოლსკი“-ს ცნობით იავორჟინოს საკითხი გათვალისწინებული აქვს ელჩთა კონფერენციას. იავორჟინო გაიყოფა პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის.

**კიევი.** ლვოვის ბაზრობიდან დაბრუნებული გვედენსკა აღნიშნავს პოლონეთის დიდს ფინანსიურ კრიზისს. ვარშავასა და ლვოვში სარემონტო სამუშაოები შეჩერებულია.

**თეირანი.** მესოპოტამიაში საოკუპაციო მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა მესოპოტამიაში მცხოვრები 600,000 სპარსეთის ქვეშევრდომი გადაეწეროს მესოპოტამიის ქვეშევრდომად, რამაც თეირანში დიდი პროტესტი გამოიწვია. მიტინგებზე თხოულობდნენ ოკუპანტებთან ბრძოლას და ინგლისის საქონლის ბოიკოტს. ვაჭრები და ხელოსნები მოითხოვენ, რომ თეირანში გამოგზავნილი მუშტეხიდები არ დაბრუნდნენ მესოპოტამიაში, ვიდრე, არ დააკმაყოფილებენ ეროვნულ მოთხოვნილებებს.

ასეთივე პროტესტი გამოიწვია ამ ბრძანებამ ინდოეთის მაჰმადიანებშიაც.

**რიგა.** წერეთელი და ჰუისმანსი მოგზაურობენ ლატვიის ქალაქებში, რათა მოამზადონ მემარჯვენე და მემარცხენე მენშევიკების გაერთიანება.

**მოსკოვი.** საკავშირო ცაკის დადგენილებით საკავშირო გამოფენა დაიხურება 20 ოქტომბერს.

**ლონდონი.** სამხრეთ სლავიამ ბოლგარეთს გაუგზავნა ახალი ნოტა, სადაც აცხადებს, რომ, თუ ბოლგარეთის კომიტაჯები კიდევ შეესევიან სამხ.-სლავიას, მაშინ უკანასკნელი ჯარი არ დააყოვნებს ბულგარეთის საზღვარზედ გადასვლას.

**რომი.** ინგლისის გაზეთები იწყებენ იტალეო-საბერძნეთის კონფლიქტის დროს ინგლისის მიერ დაკავებულ პოზიციას. მოითხოვენ იტალეთ-საბერძნეთის ძველი ურთიერთობის აღდგენას.

### წყალდიდობა იაპონიაში

**ოსაკა.** (იაპონია) ორი დღის განმავლობაში ტაიფუნის ქროლას შედეგად მოჰყვა წყალდიდობა ტოტტორისა, მიზისა, იამანაშისა და ტოკიოს რაიონებში კუკურა, მარუფიანა და ტოსეიხის მდინარეებში წყალმა აიწია 20 ფუტით. ქალ. ტოტტორი თითქმის მთლად წყალმა დაფარა.

ტოკიოში მიმავალ რკინის გზების ხიდები დაინგრა. მიწის ძვრის შემდეგ ტოკიოში გადარჩენილი შენობები წყალმა წალეკა. იაპონიის უდიდესი გვირაბი, სასაგო დაინგრა.

40.000-დე ლტოლვილი მოგროვდა სასაგოსთან. ამავე გვირაბთან წყალმა წალეკა ტოკიოსთვის დამზადებული ტყის ტრანსპორტი.

მარტო ტოტტორის ოლქში ზარალს სთვლიან 30 მილ. იენათ.

ინაპის პროვინცია ჰაობად გადაიქცა.

### ფიუმეს საკითხი

**ვენა.** ფიუმეში შინაური მდგომარეობა შეიცვალა, რითაც იქმნება ახალი საშიშროება მდგომარეობა გართულებისა. ფიუმეს, და ანნიუნციოს მიერ ევაკუაციის შემდეგ, განაგებდა მუნიციპალიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა ფიუმეს ავტონომიის მომხრე ცაპელლა.

შემდეგში იტალეთის დახმარებით მუნიციპალიტეტი უკუაგდეს და ქალაქს განაგებდნენ ფიუმეს იტალეთისათვის შეერთების მომხრენი. იტალეთ-სამხრეთ-სლავიის დავის უმთავრესი პუნქტი არის ძველი მთავრობის აღდგენის საკითხი.

მუსოლინიმ ქალაქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნა ჯორჯინს, რაც ფიუმის ოკუპაციას ნიშნავს.

**ბერლინი.** იტალეთის მთავრობა თავს უყრის ჯარს სამხრეთ-სლავის საზღვარზედ.

ლონდონიდან მიღებულ ცნობებით ფიუმეს ახლოს თავი აქვს მოყრილი იტალეთის 4 დივიზიას და ცალკე რაზმებს.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

**ლონდონი.** ინგლისის ფირმის „ბეკოსის“ წარმომადგენელი აღტაცებით აღნიშნავს რუსეთის ეკონომიურ აღორძინებას, რის დასამტკიცებლადაც ასახელებს საკავშირო გამოფენას.

**ლონდონი.** „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს რომ რუსეთის აღორძინება გამოძახილს ჰპოვებს ფინანსიურ ბაზარზედ, სადაც, რაც დრო გადის, იმდენი უფრო ცხოველდება ინტერესი რუსეთის აქციებისადმი.

**ლონდონი.** გავლენიანი ფინანსიური გაზეთი „ფაინანშიელ ტაიმსი“ თხოულობს რუსეთში ინგლისის მანქანათა წარმოების ტეხნიკურ მისიის გაგზავნას. რუსეთში ბევრი შესაძლებლობა იხსნება, იქ მდიდარ რკინის მადნების აღმოჩენის გამო და საჭიროა ამ შესაძლებლობით სარგებლობა, საჭიროა დავასწროთ გერმანიისათ.

**სტოკჰოლმი** შვეციის პრესა მოითხოვს რუსეთთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენას.

**პარიზი.** პარიზის ბირჟაზედ რუსეთის ფასიან ქაღალდებს ემჩნევა აწევა. ფინანსიურ წრეებში ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება რუსეთთან სასურველად დამთავრდება.

## ახალი ამბები

— **პროფესორ მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში მეცადინეობა იწყება 20 სექტემბრიდან.** ჩაწერა იწყება 20 სექტემბრიდან. ჩაწერა შეიძლება საღამოს 6—8 საათ,

სტუდიასთან არსებობს რაბისის მიერ დამტკიცებული მხატვართა-კოლექტივი „აპოლონი“ შემდგარი თანამშრომელ მხატვართა და უფროს მოწაფეთაგან, მათი მიზანია გაუწიონ მხატვრული დახმარება საქართველოს და კულტურულ აღორძინებას.

შეუძლიანთ თემებს სულ მცირე ფასებში მიიღონ სათეატრო, სცენის ფარდების გეგმები და გაიწვიონ შემსრულებელნი თბილისიდან. სამხატვრო სტუდია ნიკოლოზის ქუჩა № 9. პირველი ნაბიჯები მათი ოზურგეთის და ქვიშხეთის თეატრში, რომლის ფოტოგრაფიული სურათი მალე დაიბეჭდება.

— **ხკოლის გარეშე განათლების მუშაკის ხლში,** ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, დილის 11 საათზე, სკოლის გარეშე განათლების მუშის სახლში (ალექსანდრეს ბაღი; ყოფილი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობა, სართული მესამე) იწყებს თავის მუშაობის განახლებას საკლუბო და საბიბლიოთეკო სექციები. მათი მიზანია თავი მოუყა-

რის და ერთმანეთის დაუახლოვოს პოლიტგანათლების ასპარეზზე მომუშავენი. იქ იმართება საუბრები და იკითხება მოხსენებები საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ.

აუცილებლად საჭიროა, რათა ყოველი მუშაკი საკლუბო და საბიბლიოთეკო ასპარეზზე გამოცხადდენ აღნიშნულ დღეს.

— **ქართული სკოლა.** ცენტრო-საწყობის დასასურსათო სახ. კომისარიატის მოსამსახურეებისათვის გაიხსნა ქართული ენის შესასწავლი კურსები.

— **სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი.** სამოსწავლო სექციის მიერ დამუშავებულია დაბალ ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა დებულება.

— **სააბრეშუმო სადგურის მუშაობა.** სააბრეშუმო სადგური აწარმოებს პეპელების მიკროსკოპიულ გამოკვლევას და აბრეშუმის თესლის დამზადებას, შეკრებილია ცნობები, თუ რამდენი თესლია საჭირო მიმდინარე წელს მეაბრეშუმეთათვის.

— **ჩათახის საავადმყოფო.** ჯანმრთელობის სახ. კომ მიერ ჩათახში იმართება საავადმყოფო 10 საწოლით. საავათმყოფოსთვის დგება მედიკო სანიტარული შემადგენლობა. უფროს ექიმად დაინიშნა ქირურგი.

— **მოზარდ ქმუშების გასინჯვა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების მიერ ტარდება მოზარდთა მომუშავეთა ფიზიკურ ჯანმრთელობის გასინჯვა.

— **შრომის ბირჟა.** 18 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—539 უმუშავარი ახლად ჩაეწერა—131 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—69 უმუშევარი.

— **სიღნაღის შრომის ინსპექციის შესახებ.** პროფ-კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სიღნაღის შრომის ინსპექტორი მოხსნილი იქმნა ადგილიდან, ხოლო მის მოვალეობის ასრულება დაეკისრა ადგილობრივ დამზღვევ კასის თავმჯდომარეს.

— **სატყეო აგარაკის აღწერა.** მიწ. მოქ. სახ. კომ. სატყეო განყოფილებამ დაამთავრა ტფილისის სატყეო აგარაკების აღწერა. აღწერილია აგრეთვე ჭიათურის და ქობულეთის სატყეო აგარაკები.

— **საჯიშე ცხენების ჩამოყვანა.** ცხენთა საჯიშეების სამართველომ მოსკოვიდგან ჩამოიყვანა 23 საჯიშე ცხენი.

— **შინა მრეწველობა.** შინამრეწველობის სამართველოს ქარხანამ ივლისის განმავლობაში დაამუშავა 99 ფუთი შალის ნართი.

— **მუშათა სასახლის შეკეთება.** პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა უარყოფილი იქნეს „არაზინდოს" ფონდიდგან მუშათა სახლის შეკეთება. სასახლე შეკეთებული იქნეს პროფკავშირების საშუალებით.

— **შრომის ბირჟის გამგის დანიშვნა.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შრომის ბირჟის გამგედ დაინიშნა ამხ. დ. რუხაძე.

— **პროლეტ-კულტის ტეხნიკუმთან გახსნილი** იქნა ევროპიულ ენების შესასწავლი კურსები.

— **უფასო სასწავლებელი.** ტფილისში გაიხსნა თურქული თეატრალური სასწავლებელი, დრამატიული და საოპერო განყოფილებებით, სწავლა უფასოა.

— **ვალიუტის კურსი.** 19 სექტემბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 47,000,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 44,100,000 „ |
| ჩეკი. | 42,700,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 9,600,000 „ |
| ჩეკი. | 9,050,000 „ |
| ოსმალური ლირა | 6,200,000 „ |
| საბჭოთა ფული | 16,000 „ |

## პარტიაში

**დღეს, სექტემბრის 20-ს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია „ტრიბუნის" რედაქციაში მთავარი კომიტეტის სხდომა. განსახილველია გადაუდებელი კითხვები და წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

---

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მესამე რაიონის ამხანაგთა საზოგადო კრება.

(კახეთის მოედანზე № 2)

მ. ხუფერთელაძე.

## ვისთან უნდა ვიყვეთ

მე ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლიდან ვმუშაობდი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიაში.

მე ღრმად მწამდა და დღესაც მწამს ამ პარტიის ძირითადი პრინციპები, რომელიც მას უანდერძა მისმა მამათმთავარმა არჩილ ჯორჯაძემ. ამიტომ ვიყავი აქტიური წევრი ამ პარტიის და მთელი ჩემი ენერგიით ხელს ვუწყობდით მის გაძლიერებას, ვინაიდან მწამდა, რომ ეს პარტია იყო ერთად-ერთი დამცველი ქართველი ერის ინტერესებისა.

ათას ცხრაას ოცდა ერთ წელს პარტიაში მომხდარი ფაქტები მეტად სამწუხარო იყო ჩემთვის. მის ორ ნაწილად გაყოფვამ მე დამაყენა ორჭოფულ გზაზე და არ ვიცოდი, რა მექნა. ხოლო უნდა აღვიარო აშკარად, რომ ჩემი მეტი სიმპატია იყო მემარჯვენე ფრთისკენ. მაგრამ ყოველთვის ორივე ფრთას კრიტიკული თვალსაზრისით ვუყურებდი და ვაფასებდი მათ ტაქტიკას სოციალიზმ-ფედერალიზმის თვალსაზრისით.

მარქსიზმის არც ერთი ფრთის ტაქტიკით და პრინციპებით მე არ ვსჭვრეტდი ჩვენი პარტიის ტაქტიკას. მე ყოველთვის გზას მინათებდა სოციალიზმ-ფედერალიზმის ჩამოყალიბებული პრინციპები და ამით ვაფასებდი მემარჯვენე და მემარცხენეების მოქმედებას.

ბოლოს და ბოლოს კი დავრწმუნდი, რომ მემარცხენეთა ჯგუფი არის ერთად ერთი მატარებელი არჩილის დროშის. ეს ჯგუფი არის ნამდვილი მემკვიდრე და ღირსეული დამცველები სოციალ-ფედერალიზმისა. მხოლოდ ისინი სდარაჯობენ დღეს არჩილის დროშას.

თუ ვინმე დღეს ლაპარაკობს საქართველოსთვის, ეს არის მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია. ყველაზე უფრო საქართველოს ბედ-იღბალი აინტერესებს ამ პარტიას. ეს პარტია სდგას დღეს სამშობლოს სადარაჯოზე და არ აძლევს ნებას არავის მისი შელახვის.

ვინაიდან ეს პარტია იწვება დღეს იმ ცეცხლით, რომელ ცეცხლითაც იწვებოდა არჩილ ჯორჯაძე. ისინი არ ივიწყებენ არჩილის ანდერძს და მტკიცედ მისდევენ მის კვალს.

შემცდარი არის მემარჯვენეების წუწუნი, ვითომდა ეს ჯგუფი ამცდარი იყოს სოც.-ფედერალიზმის პრინციპებს *).

რამდენი გინება და ლვარძლიანი სიტყვები არ გვსმენია ყველა მემარჯვენეების მხრიდან. რას არ უწოდებდნენ მემარცხენეების ბელადებს ეს უკანასკნელნი: „რენეგატი", „მოღალატე", „კომუნისტების აგენტი" და სხ. ვინ მოსთვლის! მაგრამ სიმართლე მაინც სიმართლედ რჩებოდა. დღითი დღე ვრწმუნდებოდი იმაში, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია იყო, როგორც ვსთქვი, ღირსეული მემკვიდრე და მატარებელი სოციალიზმ-ფედერალიზმის პრინციპების საქართველოში. მემარჯვენეების წუწუნი კი ეს იყო ნამდვილი უსაბუთო, ბავშური და პირადი ანგარიშებით გამოწვეული წუწუნი. მე დავრწმუნდი, რომ მემარჯვენეები სტყუოდენ. მათი ბრალდებები ნამდვილი ცილისწამება იყო.

ამხანაგებო, განა თქვენ არა ხართ ამის მოწამე?! დააკვირდით ამ სამი წლის ტაქტიკას მემარცხენეებისას, შეაფასეთ მათი ღვაწლი ერისა და მუშათა კლასის წინაშე, თქვენ დაინახავთ, თუ ვის უჭირავს არჩილის დროშა მაღლა და ვინ გააგდო ის ხელიდან პირადი ანგარიშების გამო. ვინც საღად და მიუდგომლად აფასებს ამა თუ იმ პარტიის ტაქტიკას და პრინციპებს, მისთვის აშკარაა, თუ ვინ აკეთებდა ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენს ეროვნულ საქმეს.

ვინ იცავდა ჩვენ ენას, კულტურას და ეროვნულ სხეულს, მის მთლიანობას? გადაფურცლეთ „ტრიბუნის" ფურცლები და იქ მიიღებთ თქვენ ამის პასუხს.

მათი ამ სამი წლის სიტყვა და საქმე დაგარწმუნებენ თქვენ, ამხანაგებო, იმაში, თუ ვინ არის ფედერალიზმის პრინციპების მატარებელი, ვის შესტკივა გული ჩვენი კულტურისთვის და ვინ იცავს მას.

უკანასკნელი ყრილობა კი მემარცხენეებისა, სადაც უმწიკვლოდ იქმნა მიღებული პრინციპები სოციალიზმ-ფედერალიზმისა, აშკარად გვიჩვენებს მათ სწორ გზას. ამის შემდეგ აშკარაა ყველასათვის, თუ ვინ ყოფილა მემარცხენეები.

ეს ფანტავს იმ ჭორებს, თითქოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტებს არ აქვთ პრინციპები და ისინი ფედერალისტები კი არ არიან არამედ აშკარა აგენტებია კომუნისტებისა. ეს ჭორებიც იფანტება.

აშკარად მტკიცდება ურწმუნო თომებისთვის, ის, რომ მემარცხენეებს აქვთ საკუთარი პრინციპები.

ამ ყრილობის შემდეგ მაინც ყველამ უნდა გაიგოს, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების ფედერალიზმი და კომუნისტების ფედერალიზმი სულ სხვაა.

**პირველის ფედერალიზმი არის ძირითადი საკითხი. კომუნისტების ფედერალიზმი კი ახალი ტაქტიკური თვალსაზრისით მიღებულია. მემარცხენეებისთვის, როგორც ფედერალისტებისთვის, ფედერალიზმს პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ის არ არის დროისა და ტაქტიკის საკითხი *).**

**კომუნისტებისთვის, როგორც მარქსისტებისთვის, ეროვნული საკითხი და ფედერალიზმი პრინციპიალურად არ არსებობს. ის ტაქტიკის საკითხია.**

აი რა დიდი განსხვავებაა კომუნისტებსა და მემარცხენეებს შორის მარყალია, ბევრ საკითხებში ერთმანეთს ეთანხმებიან კომუნისტები და მემარცხენე ესფერები, როგორიც არის მაგალითად რუსეთის რევოლიუციის გაგების საკითხი და სხ. მაგრამ მათ, (მემარცხენე) ესფერებს საკუთარი პრინციპები აქვს, როგორც ვსთქვი.

**ამიტომ ის არსებობს, როგორც პარტია.** ის არის არჩილის საუკეთესო იდეების მემკვიდრე. ეს უნდა გაიგოს ყველა არჩილის მედროშე ახალგაზრდებმა. დროა, ამხანაგებო, ვიცოდეთ ვისთან უნდა ვიყვეთ. დროა ჩავდგეთ მათ რიგებში, თორემ გვიან იქნება. ამას არ გვაპატიებს ერი და მუშათა კლასი. ჩვენი პარტიის რევოლიუციონურ ახალგაზრდობას ეს არ ეპატიება. ის უნდა იქნეს ქართველი ერის და მუშათა კლასის მედროშე პარტიის რიგებში.

და ვინც სდგას სოციალიზმ-ფედერალიზმის პრინციპებზე და ვისაც აინტერესებს ჩვენი ერის მომავალი, ის მემარცხენე ესფერებთან უნდა იყვეს.

ამას მოითხოვს თქვენგან ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები.

დროა გამოფხიზლდეთ და გაიგოთ: ვისთან უნდა ვიყვნეთ.

**ვასილ კიქელია.**

---

*) პრინციპიალურ საკითხებს შევეხები სხვა წერილებში.

*) ამ საკითხს მე ცალკე წერილებში შევეხები.

---

# სენაკის სამაზრო პირველი თავისუფალი პარტიული კონფერენცია.

**ზოგადი შენიშვნა**

სენაკის მაზრაში პარტიული მუშაობას ერთი წლის ისტორია აქვს. 1922 წ. მაისში დაარს და პირველი ორგანიზაცია ს. ისულაში, შემდეგ სენაკში, აბაშაში და სხ. გასულ წლის სექტემბერში მოწვეულ იქნა რეალურად არსებულ სამი—ოთხი ორგანიზაციის წარმომადგენლები და საფუძველი ჩაეყარა დროებით სამაზრო კომიტეტს.

დროებით სამაზრკომში მოხვდენ ენერგიული და პარტიული მუშაობის პრაქტიკულად მცოდნე ამხანაგები.

საერთოდ პარტმუშაობის წარმოება მაზრის მაშტაბით არ იყო იოლი საქმე. სენაკის მაზრა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი კუთხე, წარმოადგენდა ყოველთვის მენშევიკების სამეფოს. ძველი პარტია ს.-ფედერალისტებისა მეტად სუსტი იყო და უმნიშვნელო. სოციალ დემოკრატიული პარტიის დიქტატურა არ იძლეოდა პარტმუშაობის თავისუფლებას, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი სამაზრო კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა ფუქსავატ ინტელიგენციისა და პირებისაგან, არ იდგა მედგრად პარტმუშაობის პოზიციაზე სამაზრო კონფერენცია მენშევიკების დროს რაღაც ერთხელ იქნა მოწვეული. კონფერენციას დაესწრო დაახლოებით 15—დელეგატი. მათ შორის არ იყო არც ერთი გლეხი, არც ერთი მუშა.ჭდაბების წვრილ და მსხვილ ინტელიგენციის და არა მშრომელ ელემენტების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

არსებითად განსხვავებული სურათი გადაშალა ჩვენს წინაშე 1921—1923 წლებმა. მაზრაში პარტ ორგანიზაციების განვითარებას ჩაეყარა საიმედო საფუძველი. ჩვენმა პარტიამ, როგორც ქალაქისა და სოფლის მუშების პარტიამ, მხურვალე თანაგრძნობა ჰპოვა ღარიბ მასაში. რა თქმა უნდა ამას ხელს უწყობდა, როგორც ჩვენი პარტიის სწორი პროგრამის და პოლიტიკური გეზის ნიადაგზე შედგომა, აგრეთვე გამოცდილ, ენერგიულ, მშრომელთა უბნებიდან გამოსულ, სათანადო მომზადების და ავტორიტეტის, მქონე ამხანაგების ჩაბმა პარტმუშაობის სფეროში. ამ მხრით 26—აგვისტოს კონფერენცია ყოვლად ღირს შესანიშნავი მოვლენაა სამეგრელოს მაშტაბით, პარტიულ ცხოვრების ისტორიაში.

**მ ზ ა დ ე ბ ა**

კონფერენციის გახსნის დღე — კვირას კარგი ამინდი დადგა. ბუნებაც გვიწყობდა ხელს. საბჭოთა თეატრი, სადაც იხსნებოდა კონფერენციის საზეიმო სხდომა, მორთული იყო ყვავილებით, გრილიანდებით, სურათებით და წარწერებით. შესასვლელ კარებზე ეწერა: გაუმარჯოს საქართველოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სენაკის მაზრის პირველ თავისუფალ კონფერენციას. განსაკუთრებით მშვენივრადაა მოწყობილი სამაზრკომის ბიურო. აქ თავს იყრიან შორეულ დაბა თემებიდან ჩამოსული დელეგატები. დილის ათი საათია, მოელიან ტფილისიდან ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელს. არ იციან დანამდვილებით, ვინ უნდა ჩამოვიდეს. „ამხ. პარმენი გვინახულებს". „ამხ. თედო". ჰმ."— ფუსფუსობენ ამხანაგები. ბიურო თანდათან ივსება. იკივლა მატარებელმა, დელეგატები სადგურისაკენ იყურებიან. ცოტა ხანი და... გამოჩნდენ ამხ თედო და მუშიშვილი. აუწერელი სიხარული, აღფრთოვანება, გამამხნევებელი ენერგია... თბილი ამხანაგური მისალმებანი.

დილის 11 საათია. მოელიან დელეგატებს ისულის, ძონძირის, თეკლათის და ნოსირის ორგანიზაციებიდან. წინასწარ განსაზღვრულ გეგმის თანახმად ისინი მარქსის სახელობის ელექტრო სადგურთან იკრიბებიან. მუსიკა უცდის მათ. მოგროვდნენ დელეგატები, ოთხ მწკრივად სადემონსტრაციოდ ემზადებიან. მათ ადგილობრივ ორგანიზაციის პარტწევრები და ჩამოსული დელეგატებიც უერთებიან.

მუსიკა უკრავს, ადგილიდან იძვრიან. გაივლიან მუსიკით ცხაკაიას, რუსთაველის, ლენინის, აკაკის ქუჩებს და პირდაპირ თეატრში შედიან. თეატრის კარებს ხალხი აწყდება. დელეგატები საგანგებოდ განმზადებულნი პარტერის წინა სკამებს იკავებენ, სტუმრები ლოჟებს ძანდარას, პარტერის უკანა რიგებს.

**საზეიმო გახსნა.**

სრულ 12 საათზე ფარდა ნელ-ნელა მაღლა იწევა. სცენა საზეიმოდაა მოწყობილი. მის მარცხენა ნაწილში მოსჩანს ამხ. თედოს ფიგურა. ტაში. კონფერენცია გახსნა დრ. სამაზრკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. **ანტონ ნადარეიშვილმა.** მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. ამხანაგო მოკლე, მაგრამ ლამაზ და მწყობრად დალაგებულ სიტყვით ესალმება დელეგატებს. სიტყვა აუდიტორიაზე ახდენს ღრმა შთაბეჭდილებას. დასასრულ ამხანაგი იძლევა პრეზიდიუმის არჩევის წინადადებას. შემოდის სიები. წითელ მანდატების აფრიალებით, ერთხმად პრეზიდიუმში გავიდნენ: თავმჯდომარედ—ამხ. გრიშა ხოფერია, მის აძხანაგებად. ამხ. ონისიმე სალიქანძე და ნიკოლოზ ჩაჩავა. მდივნებად—ამხ. ან. ხადარეიშვილი და ივ. კაჭარავა პრეზიდიუმი იკავებს თავის ადგილს. ცხარე ტაშით ხვდება მას დარბაზი ამხ. თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება საპატიო თავმჯდომარეების არჩევის შესახებ. წამოყენებულ იქმნენ ამხანაგები: თედო ღლონტი, იაკობ ფანცხავა, მიხა კაკულია, მიხა ესაკია, მიხა ცხაკაია და ამხ. ფ. მახარაძე.

სიტყვას იღებს ცენტრალური კომიტეტის თავმჯ. ამხ. **თედო ღლონტი.** ტაშის გრიალი, კედლებს ზანზარებს. ამხ. თედო მდაბიოთ, გასაგებად არკვევს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც წარმოადგენს თანამედროვე პოლიტიკურად დაინტერესებულ მოქალაქის ყურადღებას მთავარ საგანს. საერთაშორისო ვითარება, ემიგრანტების შავი მოღვაწეობა და ზრახვები, საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა, ჩვენი რესპუბლიკის ეროვნულ და ეკონომიური ვითარება, ჩვენი პარტიის გეზი და მისი სისწორე, მემარჯვენეთა კოალიციის იდეური და ორგანიზაციული სიკოტრე და მრავალი სხვა. აი რას ეხებოდა ამხ. თედოს ღრმა შინაარსიანი სიტყვა. ამხ. თედომ დაახლოვებით ერთ-ნახევარი საათი ილაპარაკა. ამ ხნის განმავლობაში მეფობდა სამარისებური სიჩუმე, რაც აუდიტორიის მხურვალე თანაგრძნობას ადასტურებდა. მხურვალე ტაშმა დაფარა ამხ. თედოს უკანასკნელი სიტყვები. მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამხ. **ემელიანე ნოდიამ.** სიტყვა გამსჭვალული იყო ბრძოლის ოპტომიზმით და გამარჯვების იმედით.

ამხ. ნოდიას შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩდა საქართველოს კომპარტიის სენაკის სამაზრკომის და სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელ ამხ. **ისიდორე გულორდავა.** დელეგატები და მთელი აუდიტორია ტაშით შეხვდა მას. ამხ. გულორდავას სიტყვა მიმზიდველი იყო, როგორც ფორმით; განსაკუთრებით შინაარსით. ამხანაგმა გააშუქა ჩვენი პარტიის ვინაობა, სოციალისტური და რევოლიუციონური ფიზიონომია. შეეხო ჩვენი პარტიის წარმოშობას. აღნიშნა, რომ მემარცხენე სოც. ფედერალისტების ფრთა არსებობდა მენშევიკების ბატონობის დროსაც და არ გაჩენილა 1921 წ. თებერვლის შიშით. აღნიშნა ამხ. თედოს „Азиятская политика большевиков". ჩვენი ამხანაგების მუშაობა დამფუძნებელ კრებაში და მრ. სხვა. დასასრულ ამხანაგმა გააშუქა ჩვენსა და კომპარტიას შუა არსებული ურთიერთობა, რომელიც არის არა უბრალო მეგობრული, არამედ წმინდა ამხანაგური. ამხ. გულორდავას სიტყვამ დასტოვა დიდი შთაბეჭდილება. მის უკანასკნელ წინადადებებს ტაშით შეხვდა, როგორც კონფერენცია, მისი პრეზიდიუმიც.

შემდეგ მისასალმებელი მოკლე სიტყვით მიმართა კონფერენციას ისულის ორგანიზაციის სახელით ამხ. **აკაკი კუციამ.** მთელი კონფერენცია ტაშით შეხვდა მის გამოსვლას.

დაბოლოს მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. მუშიშვილი ამხ. გადაუშალა კრებას ჩვენი პარტიის ახლო წარსული. დიდხანს ილაპარაკა მემარცხენეთა ფრთის მუშაობის შესახებ დემოკრატიულ საქართველოში. გააშუქა ჩვენი პროგრამის ძირითადი ხაზები და მოხაზა ის გზები და საშუალებანი, რომლითაც პარტია ცდილობს ალთქმის ქვეყანაში შესვლას. ამხ. მოხსენებამ მეტად ღრმა შტაბეჭდილების კვალი დასტოვა მსმენელებზე. აუდიტორია იწერდა მის ზოგიერთ მოსაზრებებს. კონფერენციამ და დამსწრე საზოგადოებამ გაუმართა ამხანაგს ოვაციები.

კონფერენციის საზეიმო სხდომა დაიხურა დღის ოთხ—საათზე. თავმჯდომარის წინადადების თანახმად, ამხ. დელეგატები გაეშურენ პარტ-ბიუროსაკენ.

**ბ ი უ რ ო შ ი**

ბიურო წარმოადგენს საუცხოვო სანახაობას. მის შესასვლელ კარებთან ფრიალებს წითელი დროშა. ბიურო წარმოადგენს დიდ დარბაზს ერთი ოთახით. თეთრად შეღებილს უკანა კედელი თალისებურია კუთხეზე წარწერით: „გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციას". მეორეზე—„გაუმარჯოს მშრომელთა კლასის დიქტატურას" ხოლო თვით თალისებურ მოყვანილობაზე ოდრიკალად წითელი ასოებით წარწერილია: „გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას" **Да здраствит международная пролетарская революцня".**

კედლებს ამშვენებს არჩილ ჯორჯაძის, თედო ღლონტის, მიხა ცხაკაიას და შოთა რუსთაველის სურათები. არჩილის სურათ იქვე გადაჯვარედინებული პატარა წითელი დროშები. ბიუსტები ამხ. ლენინის, რომლის გვერდით წარწერილია: „გაუმარჯოს კომინტერნს". და მარქსის ბიუროში საკმაოდაა სკამები და მაგიდები. სჩანს, დრ. სამაზრკომს ყოველივე მოლოდინს გადაუჭარბებია.

ამხანაგებს ბიუროში ესაუბრა ამხ. **თედო.** მისმა საუბარმა მეტად მიიზიდა ამხ. მუშები. იყო რამოდენიმე წერილობითი შეკითხვები. ამხ. თედოს პასუხმა დიდათ დააკმაყოფილა დელეგატები. საღამოს 5 ნახევარ საათზე კრება დაიხურა. სხდომის განახლება დაინიშნა 8 საათისათვის. დელეგატებმა ამხ. თედო მიაცილეს რკინის გზის სადგურამდე. თედო იმ დღესვე გაემგზავრა ტფილისისაკენ.

ამხ. თედოს ჩამოსვლამ კარგი შთაბეჭდილება

# სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარზე

(დღიური—მოკლე მიმოხილვა)

26 აგვისტო. მოგზაურობა არაგვის ხეობით მთიულეთისაკენ სოფ. ფასანაურამდე.

27 აგვისტო. მოგზაურობა მთიულეთით ჯვარის უღელტეხილზე, სადაც სიმაღლე უდრის 2332 მეტრს, ჰაერწნევა კი 570 მილიმეტრს. ხელოვნური გვირაბები სამხედრო ქართულ გზაზე ჯვარის უღელტეხილის გადაღმა-გადმოღმა. უღელტეხილიდან ქვემოთ დაშვება ხევისაკენ. გზა-გზა მრავლად არის მჟავე წყლის წყაროები. პირველი სოფელი უღელტეხილს გადაღმა კობი, საიდანაც იწყება თრუსოს ხეობა, რომლიდანაც მიდის გზა ოსეთში. თრუსოს ხეობა დასახლებულია ოსებით. იქიდანვე გამომდინარეობს თერგი. იქ არის მისი დასაწყისი. კობთან მიახლოვებისას მოსჩანს მყინვარი. კობში სწარმოებს მეტეოროლოგიური დაკვირვებანი იქ მუშაობს ორი დამკვირვებელი ჩვენ ობსერვატორიიდან.

მოხევეთა სოფლები, დაფენილი თერგის ორივე მხარეს. სტეფანწმინდაში ჩასვლა. ღამის თევა ქვენეთის მთაზე წმიდა სამების ეკლესიაზე—2225 მეტრის სიმაღლეზე.

28 აგვისტო. მეტეოროლოგიური, აქტინომეტრიული და მაგნიტური დაკვირვება—გამოკვლევა გადაღებანი. დღესასწაული წმინდა სამების ეკლესიაზე, სადაც ხალხის ჩვეულება—ტრადიციები კარგად არის გადმოცემული. მოხევეები პატივისცემით ეპყრობიან ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნას. მისი სახელი სიყვარულით იხსენიება ხალხში.

29 აგვისტო. გამგზავრება დევდარაკის მყინვარზე სოფელ გველეთით, სადაც ქისტები ცხოვრობენ. ორი დამკვირვებელი პროფ. დიდებულიძის განკარგულებით სათანადო მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა საწარმოებლად დატოვებულნი იყვნენ სტეფან-წმინდაში. დევდარაკის მყინვარზე ექსპედიცია ავიდა ცამეტი წევრის შემადგენლობით პროფ. ა. დიდებულიძის მეთაურობით. ექსპედიციის გამყოლი იყო მოხევე გახა წიკლაური—ცნობილი თავისი ასვლებით მყინვართ წვერზე, სადაც ის ასულა თექვსმეტჯერ, მხოლოდ უამინდობის გამო ვერ მიუღწევია ორმოცდაათჯერ. მარდი მოხუცი, გამობრძმედილი მყინვარზე სიარულით, დარბაისელი, მახვილი ცოდნის ადამიანი—ასეთია გახა წიკლაური. ბარგის მზიდველი გვახლდა 14 კაცი და ორიც ცხენოსანი მხოლოდ დევდარაკის მყინვარამდის ნაწილი ბარგის გადასაზიდათ.

დევდარაკის მყინვართან ჩვენს დაბანაკების ადგილს უწოდეთ „პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ნაბინავარი“.

დევდარაკზე ნიმავალთ ჩვენ განუწყვეტლივ ნისლი გვფარავდა.

მივაღწიეთ 2275 მეტრის სიმაღლეს. გავშალეთ ხუთი კარავი.

30 აგვისტო. ამინდი დილით კარგია. სპარტაკელნი გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით 29-ს ასულნი მყინვართწვერზე იმყოფებიან დევდარაკის მყინვარის ზემოთ ცხვარკორტის მთაზე ეგრედ წოდებულ „შევარდენის ბუდეზე“, რომლის სიმაღლეც უდრის 3660 მეტრს, მხოლოდ ჰაერწნევა 500 მილიმეტრს. ხელსაწყოს—გელიოტროპის საშვალებით ვამცნეთ სპარტაკელებს დევდირაკზე ჩვენი დაბანაკება. მათ ზემოდან წითელი დროშა გადმოჰკიდოს. მოხევეები ჯიხვებზე ნადირობენ. ჯიხვები დევდარაკის მიდამოებში ბლომადაა. მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა ყოველ მხრივა დაკვირვება-გამოკვლევები: მაგნიტურ გადაღებას აწარმოებენ დ. გურგენიძის მეთაურობით შ. ხუჭუა და ნ. ინწკირველი; აქტინომეტრიას ერეკლე ბენაშვილი; მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს ვ. კოჩერგინი და ჯაფარიძის ქალი; ტოპოგრაფიულ გადაღებას გ. ქავთარაძე და ს. ცხაკაია. პროფესორი დიდებულიძე საერთო მუშაობას ხელმძღვანელობს.

შუადღისას ექსპედიციის ნაწილის გამგზავრება „შევარდენის ბუდეზე“. სპარტაკელნი დაღამებისას დაბრუნდნენ „შევარდენის ბუდიდან“ და ჩვენს კარვებთან დაბანაკდენ. საღამოთი ბნელი ნისლი წვიმით.

31 აგვისტო. სპარტაკელთა გამგზავრება გველეთით ძაუგში (კავკავი). ისევ ბნელი ნისლი და ძლიერი წვიმა. მივიღეთ ცნობა „შევარდენის ბუდეზე“-ზე ასულ ჩვენ წევრებიდან, რომ იქ მესამე დღეა უკვე თოვს და გზა დახურულია მყინვართ წვერისკენ.

1 სექტემბერი. ექსპედიციის მოხსნა „დიდებულიძის ნაბინავარი“-დან და გამგზავრება „შევარდენის ბუდეზე“. გადასვლა დევდარიკის მყინვარზე. მშვენიერი სურათია მყინვარზე გადასვლისას, როდესაც 25 კაცი თავის ბარგი ბარხანით მისდევს კვალ და კვალ გამოცდილ გამყოლს გახა წიკლაურს, რომელიც მარდათ მიაბიჯებს ნაპრალებს შუა. გზა გზა ლამაზი სურათები. ზვავების ჩამოწოლა დიდი ხმაურით, რაც ერთგვარ შიშის ზარს გვრის ექსპედიციის წევრებს. ამინდი ცვალებადია. მზე იცვლება ნისლით. თანდათანობით თბიერება ქვევით იწევს, აგრეთვე ჰაერწნევაც, სიმაღლე მატულობს. „დიდებულიძის ნაბინავარიდან“ გასულნი დილის 8 ს. 35 წ. მივედით „შევარდენის ბუდე“-ზე ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. გასვლისას თბიერება 5 გრადუსს უდრიდა, შემდეგ აიწია 10 გრადუსამდის და ბოლოს დაეცა ერთ გრადუსამდე. ჰაერწნევა „შევარდენის ბუდეზე“ 500 მილიმეტრს, სიმაღლე 3660 მეტრს.

დაღამებისას თბიერება სავსებით დაეცა და 5 გრადუსს ყინვას გვიჩვენებდა. ქვის ქოხის კედლებში, რომელსაც კარვების ბრეზენტები გადავახურეთ, მოვთავსდით შესაფერისად, თუმცა სიცივე და ჰაერის ნაკლულოვანება ძლიერ საგრძნობი იყო.

2 სექტემბერი. ამინდის გამოკეთება. მზე. მუშაობის წარმოება. ყველანი გაფაციცებით მუშაობენ მზის შეხედვარე. პროფესორი დიდებულიძე, ვ. კოჩერგინი და მე გამყოლ გახა წიკლაურის მეთაურობით გავემგზავრეთ ეგრედ წოდებულ პირველ ოლგიშკაზე (მაღალ კლდის სახელია ქისტურად), რომელსაც ჩვენ უწოდეთ სახელად „ქოხმაღალი“, რადგან თვით კლდე ქოხს მოგაგონებთ. თოვლი თანდათან მატულობს. გადავდივართ კლდით ვიწრო ბილიკზე, რომლის ქვემოთაც უფსკრულია დევდარაკის მყინვარისაკენ, მხოლოდ მეორე გვერდზე სალი მაღალი კლდე. ძლიერ საშიში გადასასვლელია. ბილიკს ჩვენ უწოდეთ „გახა წიკლაურის კლდოვანი ბილიკი“. „ქოხ მაღალზე“ ავედით ერთი საათის და 15 წამის განმავლობაში. სიმაღლე უდრის 4010-ს, მხოლოდ ჰაერწნევა 450 ს. თბიერება ერთ გრადუსს ყინვას. თბიერება საერთოდ ცვალებადია ამინდის მიხედვით. „ქოხმაღალზე“ ჩვენზე ადრე ავიდნენ ტოპოგრაფები გ. ქავთარაძე და ს. ცხაკაია, რომელნიც სათანადო გადაღებას აწარმოებდენ მყინვართწვერის მიდამოსას. ჩვენც ხელდახელ ავმართეთ მეტეოროლოგიური კოშკი, სადაც დაიდგა თვითმაწერი და სხვა ხელსაწყოები მაგალითად წნევწერი, თბინესტწერი და თბიწერები ქვანარი და ზენარი საზომისათვის. ეს ხელსაწყოები დაიდგა მთელ დღე-ღამის განმავლობაში. ნაშუადღევის ორ საათზე გამოვბრუნდით. დაამთავრეს სავსებით მუშაობა მაგნიტოლოგებმა, რის გამოც ბრძანებისამებრ ისინი გაემგზავრენ დევდარაკით—სტეფანწმინდაზე სათანადო დავალებებით, რომ მუშაობა აწარმოონ თვით ტფილისამდე, სახელდობრ კობში, ჯვარის უღელტეხილზე და ქვემოთ.

**ხოხო ახლანიშვილი.**

(დასასრული იქნება)

---

# ანტისემიტური სასამართლო

„განაჩენი საქ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, 1923 წ. სექტემბრის 6 დღეს, ქ. ტფილისის მე 5 უბნის სახალხო სასამართლომ, შემდეგის შემადგენლობით: თავმჯდომარე სახალხო მოსამართლე რადლევსკი, სახალხო მსაჯულნი: ასლანოვი, მანუკოვა, მღივანი ფირცხალავა, გაარჩია რა საჯარო სხდომაზე სამოქალაქო საქმე, საჩივარი გაბრიელ ზახარის ძე გოზალოვის აბდერ იოსების ძე კეზერაშვილთან ბინის ქირა და დაცლა და მიიღო რა მხედველობაში:

„რომ მოპასუხეს უჭირავს მესამე ეტაჟზედ (?) მთელი სახლი და არ არის გაჭირვებული, როგორც მან შესძრა ქეყანა და თვითონ მართლა **ურიავთ ხტორეთ** მართალია, რომ მას არ უნდა **ეპატივოს** არა ერთი ბინის ქირა და...“

რას ნიშნავს ეს? ვინ გამოაქვს ასეთი განაჩენი, რომ მოპასუხე რაკი ურიაა, მას არ უნდა ეპატიოს ბინის ქირაო?

გაუგებრობაა ეს, შეცდომა თუ ანტისემიტიზმი? ვინაა, რომ ასეთ ჩირქს ასხამს საბჭოთა სასამართლოს და როგორ მოხდა რომ ასეთ ადგილას!..

**არაებრაელი.**

---

# პროვინციაში

**ახალციხის ამბები.**

(წერილი მესხეთიდან).

**კოოპერაცია თუ სპეკულიაცია?!.** ამ ჟამად ქალ. ახალციხეში ორი კოოპერატივი არსებობს.

ერთია „ახალციხის მომხმარებელი საზოგადოება“, რომელიც მოთავსებულია ქალაქის ახალ ნაწილში და მეორე კოოპერ. „მესხეთი“ კი ქალაქის ძველ ნაწილში.

ორივე კოოპერატივები, როგორც გადმომცეს მთავრობის განკარგულებაშია.

ჩვენდა სამწუხაროთ ეს ზემოთ აღნიშნული კოოპერატივები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე. მათ მრავალი დეფექტები აქვთ. ესენი არ არიან მშრომელი მასსის, ჩვენი მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დამცველი. კოოპერაცია სპეკულიაციის ბუდეთ არის გადაქცეული.

მაგალ. მე ამ წერილის ავტორმა 8 ამა სექტემბერსავიყიდე ერთი ყუთი ასანთი ას ოცდა ხუთი ათას მან, ასეთივე ქარხნის ასანთი ვიყიდე ბაზარში, კერძო დუქანში ასი ათას მანეთად.

ორი კვირის წინეთ ვიყიდე მანქანის ძაფი ძვირად, ვიდრე კერძო მაღაზიაში ე. ი. კერძო მაღაზიაში უფრო იაფია საგნები ვიდრე კოოპერატივ „ახალციხის მომხმარ. საზოგადოებაში“ ასეთ არანორმალურ მოვლენას აღნიშნავს მრავალი სხვა წევრებიც. მართალია მუდამ დღე საათობით ძვირდება საქონელი, ამის შესახებ ცნობა ალბათ მოსდის კოოპერატივს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთივე ცნობებს იღებენ ყოველ დღე კერძო ვაჭრებიც.

ზემოთ აღნიშნულ კოოპერატივში წინეთ ნოქარი იყო ქართველი (მეგრელი), ახლა ვიღაცას წყალობით დაუნიშნამთ რუსი, რომელმაც რუსული ენის მეტი სხვა ენა არ იცის, ამის გამო როგორიც თვით ისე მოქალაქე უხერხულ მდგომარეობაშივარდებიან.

ამას წინეთ ჩემს კოოპერატივში ყოფნის დროს მოვიდა კოოპერატივში ერთი შუა ხნის ქართველი ებრაელი ქალი, რომელსაც სარეცხი საპონი უნდო-

---

მოახდინა არა მარტო პარტიულ ამხანაგებზე, არამედ გარეშე საზოგადოებაზედაც.

**საღამოს სხდომა.**

სხდომას ხსნის სამაზრკომის ბიუროში ამხ. **ნ. ჩაჩავა** საღამოს 8 საათზე. რიგს გარეშე სიტყვა ეძლევა ამხ. **გ. მუშიშვილს.** ამხ. აღნიშნავს რომ ჩვენი სამაზრო კონფერენციაზე დასწრებას დიდი სურვილი ქონდა ამხ. პ. ჰანიშვილს (ომეგას), მაგრამ იგი ვერ ჩამოვიდა მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. შემდეგ ამხ. მუშიშვილი კითხულობს ომეგას მისდამი კერძოდ მოწერილ წერილის ადგილს, სადაც ნათქვამია შემდეგი: თუ სამეგრელოს მშრომელი პარტიული და უპარტიო გლეხობა ფხიზლად იქნება და ენერგიულად გასწევს წინ სოციალიზმისკენ, თუ ეცდება გათვითცნობიერებას და შეგნებას, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის, სამეგრელოს მშრომელი ხალხი, სულ მალე დაწინაურდება და პირველ ადგილს დაიჭერს ახალ საბჭოთა საქართველოში, რიგიც მისია ისტორიულად“. ამ განცხადებამ დიდად აღფრთოვანა დელეგატები და გაცხარებული ტაშით შეეგებენ მას.

არჩეულ იქნა სამანდატო კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ამხ. ანტონ ნადარეიშვილი, გახოკია და ცომაია. შემდეგ კრება შეუდგა დღის წესრიგის დამტკიცებას. შემოვიდა წინადადება დასმულ იქნას საკითხი ანტირელიგიური აგიტაციისა და „ტრიბუნას“ სახელზე ჰაეროპლანის შეძენისათვის კამპანიის წარმოების შესახებ. კონფერენცია საჭიროდ სთვლის ამ კითხვების დასმას. ამ რიგად, შემუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე.

2) პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.

3) პარტიული მუშაობა.

4) ანტირელიგიური პროპაგანდა.

5) ჰაეროპლანის აშენების საკითხი.

6) დროებითი სამაზრკომის ანგარიში.

7) მოხსენებანი ადგილებიდან.

8) მიმდინარე საკითხები.

9) სამაზრკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა ამხ. მუშიშვილი. ამხ. დეტალურად შეეხო კაპიტალისტურ მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. ნათლად გაარკვია ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. განმარტა უთანხმოების მიზეზები. შეეხო საფრანგეთ-ინგლისის პოლიტიკას საბჭოთა ფედერაციის მიმართ, აღნიშნა ამერიკის და იაპონიის პოზიცია, ოკეანეს გაღმა მდებარე ქვეყნების იმპერიალისტური სულისკვეთება. გააშუქა შეერთებული შტატების, მცირე ანტანტის და სხვა მსხვილი ინდუსტრიის ქვეყნების თვალსაზრისი, რუსეთის პრობლემის გადაწყვეტაში. მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. შეუდგა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო ვითარების აღრუსხვას, მათი პოლიტიკური ხასიათის გამარკვევაზე.

შემდეგ მომხსენებელმა დიდხანს ილაპარაკა საბჭოთა ფედერაციის საშინაო ვითარებაზე, ეკონომიურ აღმშენებლობაზე, სამხედრო ძლიერებაზე, ცალკე რესპუბლიკების ეკონომიურ წარმატებაზე, მათი ეროვნულ თავისუფლების საკითხზე და სხვა. შეეხო აგრეთვე საბჭოთა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას. მოხსენება გაგრძელდა ორ საათს. მოხსენების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილეობა მიიღო სამმა ამხანაგმა. ამხ. მომხსენებელმა ყველას გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. წამოყენებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა ზოგადად. ხოლო მისი და საერთოდ ყველა რეზოლიუციების დასამუშავებლად არჩეულ იქმნა სარედაქციო კომისია ხუთი ამხანაგისაგან შემდგარი წამოყენებული რეზოლიუცია გადაეცა სარედაქციო კომისიას.

პარტორგანიზაციების როლის შესახებ საბჭოთა აღმშენებლობაში, მოხსენება გააკეთა ამხ. **ანტონ ნადარეიშვილმა.** ამხანაგმა დაწვრილებით აღნიშნა პარლამენტარიზმის იდეის მიუღებლობა, მისი სიფუყე და საბჭოთა სისტემის უპირატესობა სოციალიზმისა და ბრძოლის საქმეში. თავისი მოსაზრებების მრავალ ფაქტებით დასაბუთების შემდეგ შეეხო ჩვენი პარტიის შეხედულებას საბჭოთა სისტემაზე, მოიყვანა ციტატები არჩილის წერილებიდან. გაუშუქა კრებას ჩვენი პარტიის 1921 წ. დადგენილებანი ამ საკითხზე და სხვა. ამხანაგმა ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელიც შეუძლია ითამაშოს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. დასასრულ აღნიშნა, რომ ჩვენს პარტიას არ მიუღია სენაკის მაზრის საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა, რადგანაც არჩევნების დროს ორგანიზაციები ფაქტიურად არ არსებობდა. გააცნო დელეგატებს საბჭოებში მონაწილეობის წესები. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წარმოდგენილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა საერთოდ და გადაეცა სარედაქციო კომისიას. სხდომა შეწყდა ღამის 2 საათზე.

**დილის სხდომა.**

სხდომა გაიხსნა დილის 8 საათზე, აგვისტოს 27-ს. თავმჯდომარეობდა ამხ. ო. სალიქაძე. მოხსენებას აკეთებს ამხ. გრ. ხოფერია. ანტირელიგიური პრაპაგანდის შესახებ. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო რელიგიის წარმოშობის პირობებს, ღმერთებს, სხვა და სხვა ხალხების სარწმუნოებას, ქრისტიანობას, სამღვდელოების საქციელს და სხვ. მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. შეეხო რელიგიასა და მეცნიერების შორის საწინააღმდეგო დამოკიდებულების საკითხს. სოციალისტურ რევოლიუციას და რელიგიურ ცრუმორწმუნეობას. აღნიშნა მიღებული ზომები უმეცრების და „შავი არისტოკრატიის“ „ზეციურ დიპლომატების“ მღვდლების ბატონობის წინააღმდეგ. აქა-იქ მომხსენებელს ტაშით აწყვეტინებდენ სიტყვას. მოხსენებამ კარგა ხანს გასტანა. რეზოლიუციის ზოგადად ერთხმად მიღების შემდეგ, გადაეცა სარედაქციო კომისიას.

პარტიული მუშაობის შესახებ დასაბუთებული მოხსენება წაიკითხა ამხ. მ. გეგენავამ. ამხანაგმა მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ის გზები და საშუალებანი, რომლითაც შესაძლებელი ხდება პარტმუშაობაში საგულისხმო შედეგების მიღება. მან წამოაყენა რამოდენიმე პრაქტიკული ზომები, რაც აღნუსხულ იქნა მის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციაში.

მეტად საინტერესო იყო მოხსენება ჰაეროპლანის აშენებისათვის აგიტაციის ამხ. **გრ. ხოფერიახი** ამხ. დაასურათა სამხედრო ხელოვნების წარმატება განსაკუთრებით ავიაციის დარგში. შეეხო ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მზადებას ომისათვის და სხვ. გაარკვია საბჭოთა ფედერაციის სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის პოლიტიკა გააშუქა პარტიის სახელზე ჰაეროპლან „მიწის მუშის“ შესაძენად აგიტაციის წარმოების მნიშვნელობა მშრომელ მასაში. ამ საქმეში მიწის მუშების გლეხების ჩაბმის სიდიადე. ამხ. მოითხოვს რათა აღძრულ იქნას შუამდგომლობა მთავარ კომიტეტის წინაშე დაიწყოს „ტრიბუნის“ ფურცლებზე. მეტად საინტერესო იყო ამხ. დელეგატების მახვილი შეკითხვები. წამოყენებულ რეზოლიუცია გადაეცა სარედაქციო კომისიას.

რიგს გარეშე სიტყვას ითხოვს ამხ. **ანტონ ნადარეიშვილი** რომელიც კითხულობს კონფერენციისადმი მისასალმებელ დეპეშას, გამოგზავნილს ქუთაისის ორგანიზაციის ამხანაგების საზოგადო კრების მიერ. დეპეშას ხელს აწერს ამხ. ი. ფანცხავა კონფერენციამ მქუხარე ტაშით შეხვდა ამ მოვლენას, ქუთათურ ამხანაგების მხრით ასეთი თანაგრძნობის გამოხატვას, მით უმეტესად, ამხანაგების აღფრთოვანება გაარკეცა ამხ. ფანცხავას გაგონებამ. სხდომა დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

**საღამოს სხდომა.**

სხდომას ხსნის საღამოს 6 საათზე, კონფერენციის თავმჯდომარე ამხ. **გრ. ხოფერია.**

სიტყვა მიეცა დრ. სამაზრო კომიტეტის ანგარიშების შესახებ ამხ. **ა. ნადარეიშვილს.** მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო ამხანაგმა აღნუსხა ყოველივე ის, რაც გააკეთა დრ. სამაზრკომა არსებობის ათი თვის განმავლობაში და ისიც რისი გაკეთება ვერ შესძლო მან. დაასახელა სხვა და სხვა მიზეზები, მოხსენებამ ამხანაგებზე მოახდინა კარგი შთაბეჭდილება. ყველასათვის აშკარა იყო. რომ საჭიროა მოქმედება, აქტივობა, ენერგიული მუშაობა და პარტიული რიგების გამრავალრიცხოვანება, გაძლიერება თვისობრივად. მოხსენება გაგრძელდა ერთ საათს. გაიმართა შეკითხვები. თემკომების პასუხისმგებელ მდივნები შეეკითხა ამხ. მომხსენებელს: რა იყო იმის მიზეზი, რომ ესა და ეს პარტორგანიზაციის მოთხოვნილება-საჭიროებანი ვერ დააკმაყოფილა ხშირად დრ. სამაზრკომმა. ამხ. მომხსენებელმა ინტერპელიანტებს გასცა დასაბუთებული პასუხი. საკითხი ამით ამოიწურა.

შემდეგ გაიხსნა მოხსენებანი ადგილებიდან. მოსმენილ იქნა მოხსენებანი შემდეგი ორგანიზაციების და უჯრედების მდგომარეობის შესახებ: ისულის, ახალ-სენაკის, მონძირის, აბაშის, საგვაზაოს, კოდორის, ონტოფოს, სეფიეთის, ბანძის, ფოცხოს, ნაოღალევის, ძველ-სენაკის, გურძემის, თეკლეთის, ნოსირის, და ნაესაკოვოს. აგრეთვე მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენებანი ხორშის, ნაქალაქევის, ბედათის, დ. სუჯუნის სამეულებისაგან. ამ ადგილებში ჯერ-ჯერობით არ დაარსებულა ოფიციალურად ორგანიზაციები. სწარმოებს დაულალავი მუშაობა. კონფერენციისათვის ორგანიზაციების ჩამოყალიბება ვერ მოესწრო. სულ მოკლე ხანში დაარსდება ფაქტიურად ჯერ-ჯერობით უჯრედები. საერთოდ ადგილებიდან მომხსენებელმა ფრიად დამაკმაყოფილებელი და გამამხნევებელი სურათი გადაშალა კონფერენციის წინაშე. ამხანაგები შეჰყურებდენ თითეულ მომხსენებელს, მათ სახეზე უსაზღვრო სიამოვნების გრძნობა იხატებოდა. დასასრულ დელეგატებს შეეკითხენ ერთმანეთს სხვა და სხვა თემაზე, შემუშავდა რეზოლიუცია, რომელიც გადაეცა სარედაქციო კომისიას. სხდომა დაიხურა საღამოს 12 საათზე.

ლა და ამათ შორის თარჯიმანად მე დავდექი. საჭიროა ეს რუსი ნოქარი გამოიცვალოს ადგილობრივ ენების უცოდინარობის გამო.

—

**პური.** ადგილობრივი შავი პური აგვისტოს პირველ რიცხვებში ღირდა 30—35 ათასი მანეთი გირვანქა. ჩერვონეცმა, რომ აიწია ე. ი. ყოველ დღე ემატებოდა—რასაკვირველია პურზედაც იმოქმედა და მასაც მიემატა. დღეს იგივე პური ღირს 100, 125 ათასი მან. თეთრი—205 ათასი მან. საერთოდ ყველა საგნებზე ფასმა ძაან აიწია, ასე, რომ ის ახალციხე აღარ არის, რომელიც ერთს დროს განთქმული იყო თავისი სიაფით.

პური, ხორცის, ხილის, ერბოს გარდა ახალციხის ფასები არ ჩამოუვარდებიან ტფილისისას.

ბევრი საგანი მაგალ. შაქარი, ფართალი აქ უფრო ძვირია, ვიდრე ტფილისში.

—

**ახალციხის ვაჭრები.** ჩერვონეცის ყოველ დღიურმა აწევამ, ადგილობრივ ვაჭრებს რომ თავიანთი უსალვრო გალვიძებული მადა ერთი ასად გაუცხოველა.

ყოველ სალამოს ჯოგივით დაეხეტებიან ფოსტაში, ტელეფონით ლაპარაკობენ ტფილისთან იგებენ ჩერვონეცის კურს. ჩერვონეცს თუ მოემატა ასი ათასი, ისინი სამას ათასს უმატებენ.

ასეთ მდგომარეობიდან ისინი თავიანთი ხრიკებით და სპეკულიანტობით ფონს გადიან—ასეთი არა სასურველი მოვლენა ისევ და ისევ მუშა-მოსამსახურეებს, საერთოდ მშრომელ მასას ატყდება თავს.

ვაჭარი—სპეკულიანტი ისევ ჩვენ მუშა-მოსამსახურეებს და მშრომელი მასსას გვაძრობს ტყავს და ასე იგი მაინც თავისას ისრულებს...

რა ქმნან იმ საბრალო მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც დროზე ვერ იღებენ ჯამაგირს და სამი-ოთხი თვე უგვიანდებათ?!.

—

**ქუჩები.** როგორც იყო ახალციხის კომმუნალურმა განყოფილებამ გამოიღვიძა სადღაც ძილისაგან, მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა ქუჩების გაფუჭებული, შეუდგა მათ შეკეთებას.

ჯერ ჯერობით აკეთებენ ფოსტის ქუჩაზე ხალხთა სასიარულო ადგილს.

დიდს ხიდთან ქუჩა უნდა მოკირწყლონ პატარა ნატეხი ქვებით.

—

**ახალი დიდი საწონი.** დიდს ხიდთან დაიდგა დიდი საწონი (სასწორი). ასეთი საწონი სულ სამია მთელ ახალციხეში.

მაზრიდან შემოტანილ ყოველ გვარ სურსათ-სანოვაგეს ამ სასწორებზე სწონიან·

კვირაობით ახლად დადგმულ საწონთან (ახალ ყაფანთან) იმართება ხოლმე ბაზარი ბათომ-ტფილისის მზგავსათ მხოლოდ პატარა მასშტაბით.

ტ. ნჯული მეხხი.

—:—

**ხამტრედია. გამოცდები.** სახალხო განათლების კირკულიარის თანახმად ქუთაისის მაზრაში ხელმეორე გამოცდები 10 ენკენისთვის ნაცვლად დაიწყება 17 ენკენისთვეს. სწავლა კი, როგორც ხმა დადის განახლდება ოქტომბრის 1-ს.

— **ჟურნალი „განათლების მოამბე".** გამოვიდა ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების ჟურნალი „განათლების მოამბე". ჟურნალი შედარებით შინაარსიანად არის შედგენილი. ქრონიკას შესაფერი ადგილი აქვს დათმობილი.

— **ტეხნიკუმის დახურვა.** სოფ. დიდ-ჯიხაიშში სოციალ ჰუმანიური ტეხნიკუმი დაიხურა, ამიერიდან ჯიხაიშში იარსებებს მხოლოდ ერთი ცხრა წლიანი მთლიანი შრომის სკოლა.

— **ქუთაის ხონის რკინის გზა.** ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ქუთაის-ხონის რკინის გზის გასაყვანად.

— **ჭირნახული.** ქუთაისის მაზრაში ალაგ-ალაგ სიმინდს უკვე სტეხენ.

—

**ბათომის აგ-კარგი.** ეროვნული საკითხი დღეს ღერძია გაცხოველებულ ინტერესებისა.

რ. კ. პ. მე-12 ყრილობამ მას საერთოდ დადებითი გადაწყვეტა მისცა. მაგრამ არ იქმნა მაინც მისი სათანადოდ ცხოვრებაში გატარება, დადგენილებებს საქმეზე ასრულება! მაგალითისთვის ავილოდ თუ გინდა ბათომი! პირველ ჩამოსვლაზე ის უცხო ქალაქის ეფექტს სტოვებს.

მაღაზიები წარწერებით უცხო ენაზე, დაწესებულებანი საქმეების რუსულ წარმოებით, ქართული რკინის გზა რუსულ ადმინისტრატიულ წყობით, აი რა ახასიათებს ჩვენ ბათომს, რომელიც ფაქტიურად ისეთივე დარჩა, როგორც გუშინ იყო.

ბევრს ასეთ ხასიათის დარღვევებს აქვს ადგილი აქაურ დაწესებულებებში. დამზღვევი სალარო, რომელიც ღებულობს გადმოქართულებულ ტექსტს ცენტრიდან, ადგილობრივ ახდენს მის გადარუსულებას. პროფკავშირებზე, რომელიც ძალვს შეადგენს ბათომის ცხოვრებისა ჯერ-ჯერობით არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ დადგენილებებს. საჭიროა სწრაფი ზომების მიღება.

მუშკორი გიორგი ტაბიძე·

# საუბარი გლეხთან

**ახალი მეურნეობა.**

(გაგრძელება)

**რით და როგორ დავიცვათ მუდმივათ ნამი მიწაში.** რომ კარგად გაიგოთ ეს, საჭიროა იცოდეთ, საიდამ ჩნდება წყალი მიწაში და სად მიდის იგი, როგორ იხარჯება იქიდან. ყველამ ვიცით და ვხედავთ, რომ მიწაში წყალი ჩნდება უმთავრესად წვიმიდგან და გამდნარი თოვლიდგან.

ისიც ვიცით, რომ წვიმისა და თოვლის წყალი მთლად მიწაში არ ჩადის: ნაწილი ღელეებში და დაბალ ადგილებისკენ მიმდინარეებს, მეტადრე თუ მიწის ზურგი უსწორ—მასწორია. ნაწილი თოვლისა იქით—აქეთ იფანტება ქარისგან და ამ სახით იკარგება ადგილობრივი მცენარეობისათვის და ნაწილიც ატანს მიწის პირს და ჩადის მიწაში და მის სილრმეში იმ ნაჩვრეტებით და დამსკდარი ადგილებით, რომლებიც მრავლად მოიპოვება ყოველ მიწაში. ცხადზე—ცხადია, რომ, თუ ეს ნაჩვრეტები—მილები და ნახეთქები მიწაში განივრებია, წყალიც ბევრი ჩავა მიწაში და ღრმათაც, თუ ვიწრო და ან მიწა მაგარია, მცირედ ჩავა და წყალი უფრო რუებად და ნაკადულებად გამდინარდება მიწის ზედაპირით დაბალ ადგილებისკენ. ან თუ მიწას გასადინარი არა აქვს არსაითკენ და ორმოსავით სახე აქვს მის ზედა—პირს, წყალი გუბდება. ეს არის მიზეზი, რომ ქვიშნარზე წყალი არ გუბდება და თიხაზე კი ხელად გუბეები ჩნდება. ეს იმიტომ, რომ ქვიშნარი ფხვიერია, მისი ნაწილები ცალ-ცალკე კენჭებისგან შესდგება და ამიტომ არც მკვრივად არის ერთმანეთზე მიკრული, თიხა კი მკვრივია და ქვასავით მაგარი ხდება, როცა მშრალია. ცხადია აგრეთვე, რომ მაგარი, მკვრივი მიწა ვერ შეინახავს და ვერ მოიმარაგებს საკმაო წყალს და ეს შეუძლიან უფრო ფხვიერს მიწას...

წვიმა და ნამი თუ თოვლი ჩვენში მეტ წილად მოდის გაზაფხულზე, შემოდგომაზე და ზამთარში, მაშასადამე, ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ სწორედ ამ დროსთვის ყველა მიწები უთუოდ დავხნათ, რომ მით წყალი ბლომად ჩავიდეს მიწაში და იქ მომარაგდეს ნათესებისთვის. ეს არის მიზეზი, რომ ზამთრის დადგომამდე მოხვნა მიწებისა საუკეთესო დროა წყლისა და ნამის მომარაგებისათვის მიწაში. თუ სახნავი ადგილი მთის ფერდობზეა, ასეთი ადგილი უთუოდ გარდიგარდმო უნდა მოხნათ და არა ქვეიდამ თუ ზევიდამ. გავსინჯოთ ახლა, როგორ და რაზე იხარჯება მიწაში მომარაგებული წყალი და ნამი.

პირველი და უმთავრესი ხარჯი ამ წყლისა ხდება **აორთქლებით**, მეტადრე მიწის ზედა-პირიდამ, რომელიც ხურდება მზისაგან და ხელად სულაც ამოაშრობდა მას, რომ კვლავაც არ შეივსებოდეს მიწიდამ აორთქლებული და ჰაერში წასული წყალი ჰაერიდამვე და მიწის სიღრმიდამ. აი აქ იჩენს თავს ის მომარაგებული წყალი, რომელზედაც ვსთქვით ზემოთ, რომ ფხვიერი მიწა უხვად უშვებს წვიმისა და თოვლის წყალს მიწის სიღრმეში და ინახავს იქ იმ სათესებისათვის, რომლებსაც თქვენ იქ მოაწყობთ. აორთქლდება მიწის ზედაპირიდამ წყალი თუ არა, სიღრმეში მყოფი წყალი და ნამი დაუყონებლივ იწყებს ზევით ამოწოწვნას იმავე ნაჩვრეტ მილებით, რომლებითაც სიღრმეში ჩავიდნენ და იკავებენ აორთქლებული წყლის ადგილს.

ასე რომ შეიძლება ვსთქვათ: მიწაში მყოფი წყალი და ნამი ისევე შეუწყვეტლად მდინარებს ქვემოდამ ზევითკენ, როგორც ჩვენი სისხლი ჩვენს სხეულში და ძარღვებში. ეს მდინარება ქვემო წყლისა ზევითკენ ხდება სწორედ იხე, როგორც მდინარება სანათის ნავთისა პატრუქში, რადგანაც პატრუქსაც ისე ქსოვენ, რომ ძაფებს შუა რჩება მილები ნაჩვრეტები და მათით ამოდის ნავთი ზემოდ. დიდი, დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს მიწის მილებს ხვნა-თესვისათვის და ამიტომ უნდა მოვხნათ მიწა არა უმეტეს ორი ვერშოკისა სიღრმით, რომ სულ მთალად არ მოვშალოთ ეს ნაჩვრეტები და მილები, თორემ ამაზე ღრმად რომ მოვხნათ, ნახნავში ჩასული წყალი ხელად ამოშრება ქარისაგან თუ მზისაგან და ყანებიც სულ მცირე გვალვისაგან ძალიან შეწუხდება და გაფუჭდება, რადგან ქვემოდან მილებით ამოსული ნამი ნახნავში ველარ ამოატანს, რადგანაც მილები აქვს მოშლილი.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოვიქცეთ, როცა მიწაში მოჭარბებულად არის წყალი და ნამი, უნდა ხვნაში შიგა და შიგ დააყოლოთ ნალარები და ზედ-მეტი წყალი თითონ დამდინარდება ამათში.

**უბრალო ბალახების მოსპობა და ამოგდება.** დაუმუშავებელ მიწაზე იზრდება ბევრნაირი უბრალო ბალახი. ესენი ხშირად, მრავლად ესტუმრებიან ხოლმე თვით ნათესებსაც და ხარბათ სწოვენ იმ ნამსა და წვალსა, რომელიც ჩვენ მოვიმარაგეთ ჩვენი ნათესებისათვის.

ცხადზე-ცხადია, რომ ჩვენ ყოველი საშუალებით უნდა ვებრძოლოთ ასეთ უბრალო ბალახებს და ვეცადოთ ამოვაგდოთ ისინი ნათესებში. ეს ყველაზე კარგად შეიძლება ხელით გამარგვლით, როცა ჯეჯილი ერთ მტკაველზე აი წევს და გარეულ ბალახსაც ჯერ მაგრად არ ექნება ძირი გამჯდარი. ამიტომ არ უნდა მოვერიდოთ ხარჯს და უბრალო ბალახი უთუოდ უნდა დავაგლეჯინოთ და გარედ გავიტანოთ, ჯეჯილში სიარულით კი ყანას არაფერი დაუშავდება და მალე გამოსწორდება.

**ხვნა დ ხვნის იარაღები.** საუკეთესო იარაღი მიწის მოსახნავად რკინის გუთანია. რომ ბელტი კარგად წვებოდეს გვერდზე და ადვილათაც იფხვრებოდეს—იშლებოდეს, ეცადეთ ისე დააყენოთ გუთანი, რომ ბელტის სიგანე არ აღემატებოდეს სიღრმეს ორ ვერშოკზე მეტით, ასე რომ, თუ ორ ვერშოკზე ხნავთ სიღრმით, ბელტის სიგანე უნდა იყოს არა უმეტეს ოთხი ვერშოკისა.

საუკეთესო დრო მოხვნისა ყანის მომკის შემდეგ არის, ისე კი რომ არც ერთი დღე არ დააგვიანოთ ნაყანურში გუთნის შეყვანა, ამაზე ჩვენ წინა წერილში საკმაოდ ვილაპარაკეთ და ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებთ. მოხვნა კი უთუოდ ბეჯითად უნდა, რომ არც ერთი წვეთი წვიმისა თუ თოვლის წყლისა უბრალოთ არ დაიკარგოს და მთლად ნახნავში ჩავიდეს. წინედ ნაკლებად მისდევდნენ ზაფხულობით ხვნას, მაგრამ ახლა ყველანი მიხვდნენ მის სარგებლობის და ხნავენ კიდეც.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ როგორი ამინდი უნდა შეურჩიოთ ხვნას. საუკეთესო ამინდად კი ის ითვლება, როცა მიწა არც ძალიან სველია და არც მშრალი, ასე რომ მუჭით აღებულ მიწას რომ მოუჭიროთ, თითებში წყალმა არ უნდა გამოჟონოს, მარტო სისველე უნდა იგრძნოთ.

**ფარცხვა.** ფარცხვა უმჯობესია [illegible]ის კბილიანი ფარცხით, რადგანაც ასეთი ფარცხი კარგათაც აფხვიერებს მიწას და [illegible] ბალახებსაც ალის. როდის უნდა ფარცხვა? თუ [illegible] სთესავთ პურს, დათესვის წინ მიწა დაფარცხეთ ორჯელ (ჯვარედინად) [illegible] და მეორეთაც გარდიგარდმო, ხოლო საგაზაფხულო ნათესებისთვის მოხნული მიწა უმჯობესია დაუფარცხავად დასტოვოთ გაზაფხულამდის და მაშინ დაფარცხოთ ჯვარედინათვე თესვის წინ.

თუ ასე ბეჯითად და მეცნიერულად დაამუშავებთ ყოველწლივ თქვენს მიწებს, ის უნეხვოთაც მუდამ კარს მოსავალს მოგცემსთ, რადგანაც, როგორც ვნახეთ, მცენარის საზრდოს შეადგენს თვით მიწის სხვა და სხვა ნაწილები, საჭიროა მხოლოდ, რომ მიწაში საკმაო წამი და წყალი მოვამარაგოთ. ეს კი მიწის კარგად და ბეჯითად დამუშავებით შეიძლება პურის მომკის დღიდანვე. თქვენ იცით, რომ თუ სადმე დარჩომილი ნამჯა აფარია მიწას, იმის ქვეშ ადგილიც მუდამ ნამიანი და სველია. ასეთი თვისება აქვს მოხნულ მიწასაც: ქვემო უხვნელ ნიადაგს ის აფარია, როგორც ნამჯა და ნებას არ აძლევს მზეს, რომ ხელად ამოაშროს და გააზმოს მიწა. ეცადეთ მუდამ ფხვიერს მდგომარეობაში იქონიოთ თქვენი ნახნავები და მოსავალიც მუდამ კარგი და უხვი გექნებათ...

ივ. როსტომაშვილი.

# წერილები რედაქციის მიმართ

**მწერლობაა?**

(დასასრული)

გაზ. „მწვერვალის" ტფილისში გამოსვლის ამბავი არ ესიამოვნა მოქ. ესაკიას და ახალ ფანდების ძებნას შეუდგა, რომ აქაც, ტფილისში არ მოვესვენებინეთ. აქ იარაღად გამოიყვანა მოქ. კასსიო:

კასსიო უხვად სარგებლობს ესაკიას ინფორმაციით და იგინება.—იგი ბრმად ენდო ესაკიას, გული მოიფხანა ორაზროვანი სიტყვების თამაშით და ვითომც რაღაც „საშინელი ბოროტების" აღმოჩენით,—რითაც დიდათ გამდიდრებულან რედაქციის თანამშრომელნი.—არა, განა რამდენი უნდა აილო გაზეთის გამომცემლობის რვა ნუმერში, რომ ხარჯებიც გაესტუმრებინა და თანამშრომლებიც საავარაკოთ დაეგზავნა?—თვითონ სახელმწიფო გამომცემლობამ კარგად უწყის რა სარფიანია ქართული გაზეთის გამოცემა.—ჩვენ არ გავცნობივართ ტფილისის გამომცემლობას, ბათომის გაზეთების ისტორიიდან კი ვიცით, რომ „ტრუდოვოი ბატუმი" და „პროლეტარული ბრძოლა" აუარებელ სუბსიდიას ნთქავდა, გარდა ამისა განცხადებების მონოპოლითაც სარგებლობდნენ და პირველ ხარისხოვან რესტორან „მარმაროს" წმინდა შემოსავალიც მათ ხმარდებოდათ.—ჰკითხონ მოქ. ავჩინსკის და დ. დუმბაძეს რამდენად სარფიანი იყო ამ გაზეთების გამოცემა რამდენად თავისუფლად ისტუმრებდნენ სარედაქციო ხარჯებს მაშ რა „აფიორა" უნდა ჩაედინა „მწვერვალს" რვა ნუმრის გამოცემაში, რომლის მთელი შემოსავალი არც კი უტოლდება" „გრდემლის" ერთ ნუმრის ხარჯებს, რომ მოგებიდან თანამშრომელნი საავარაკოდ წასულიყვნენ? ოჯახის ინტიმიურ ცხოვრებაში არაა კარგი ხელის ფათური, თორემ კასსიოს და მისი „ფერის" ამხანაგების პირადი ცხოვრება შეუდარებლად მოსუყებული და უზრუნველყოფილია, ვიდრე „მწვერვალის" თანამშრომლებისა, ვისაც სამოწყალო ჰონორარი არც კი ღირსებიათ.

მოქ. კასიოს ხელზე დახვეული აქვს, რომ გამომცემელმა განცხადებები წამოიღო ტფილისშიო, – ეს მართალია, მაგრამ რომელი განცხადებები? ყველა ეს განცხადებები დაბეჭდილი იყო „მწვერვალის" მეცხრე ნომერში, რომელიც ჩავარდა.—აქედან სამი განცხადება აქვს წამოღებული გამომცემელს, რაც არც თვითონ გამომცემელს დაუმალავს და თავისს დროზე „ტრიბუნის" ფურცლებზე გამოაცხადა კიდეც.

და თუ ეს აღიარა, მაშინ რაღა ვუწოდოთ „სურამის ციხის" ლენტით ქალაქებში და პროვინციებში სიარულს, ვითომც იგი „ასპიროზის" სასარგებლოდ იმართებოდა?

აი ამაზე გაგვეცა პასუხი როგორც კასსიომ, ისე მისი მესაიდუმლე ესაკიამ.

არც ისაა მართალი, ვითომც „მწვერვალში" გამომექვეყნებინოს ჟურ. „კანდელის" მასალები.—მართალია ის, რომ „კანდელს" მეც ვეხმარებოდი საკუთარი მასალებით,—ამას დაამოწმებს მისი რედ. გამომ. მგოსანი შ. ჯანბერიძე,—მაგრამ რომ მე „კანდელიდან" რამე წამომეღოს, მტკნარი სიცრუეა. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ „მწვერვალში" დაბეჭდილი მასალები მხოლოდ „მწვერვალისაა". მართალი ის უფროა, რომ „ასპიროზმა" ისარგებლა ჩემ მიერ მიწოდებული მასალებით, რომლებიც საავტორო ჰონორარის მიცემით მე მქონდა შესყიდული სწორედ „მწვერვალისთვის", რომლის გამოცემას ვფიქრობდი ჯერ კიდევ 1921—1922 წლებში.—რაკი მისი გამოცემა მაშინ ვერ მოვახერხე, ავტორებისთვის არც კი მისაყვედურნია, როდესაც მათ ჩემთან შეუთანხმებლივ სხვა ორგანოებში გამოაქვეყნეს ჩემ მიერ შესყიდული მასალები (მაგ. ლეო ქიაჩელმა: „სამკაულები", გ. ტაბიძემ—თავის ჟურნალში, ობოლმა მუშამ, ქუჩიშვილმა და სხვებმა—„ხომალდში" და სხვ.). არც ერთ ამათთვის არა მისაყვედურნია რა, ვიმეორებ, თუმცა მასალები შესყიდული მქონდა და უბრალო ეთიკა მოითხოვდა გაკვრით მაინც შემკითხოდნენ რამდენად მესიამოვნებოდა მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები. მაშ რაშია საქმე? რომელ აფიორაზეა ლაპარაკი. ნუ თუ საძრახისია ის, რომ დღე და ღამე გასტეხოს ადამიანმა და ისეთს საგულისხმიერო კუთხეში, როგორიც არის ბათომი და მისი ოლქი, გამოსცეს სალიტერატურო ორგანო? მაგრამ არა, საქმე ეს არაა! კასიომ და მისმა ამხანაგებმა კარგად უწყიან, რომ დ. კასრაძისა და მისი თანამოვალეების ტფილისში ჩამოსვლა ალსასრულის დღე იქნება მათთვის, ვინც პრიტონებში საკითხავ პორნოგრაფიულ ლექსებსა სწერენ, მათვე კარგად იციან, რომ იმავე კასრაძისა და მისი თანამოკალმეების გადმოსვლა ტფილისში წერტილს დაუსვამს აკრობატთა ვაკხანალიას, რომელნიც ნაირნაირად დართულან და აჭრელებული ნიღაბებით და „მწერლობის იარლიკით", მართლაც, თანაც „სახელს იხვეჭენ" და ქონებრივადაც უზრუნველყოფილი არიან, ეს იცის კასიომ, იცის და ამიტომაა, რომ წინდაწინ ის ასე გალმი[illegible]ან გვედავება, არა კასიო, საქმე არც ისეა, როგორც ფიქრობთ. ჩვენ იდეური ბრძოლა გვმართებს, აი იქ გადმოდექით ბრძოლის ველზე, თორემ თუ პატიოსნებაზე მიდგა საქმე და ერთ ერთის ბიოგრაფიის წერას მივყეთ ხელი, ვა თუ „ცისფერს დანიაში" არც ერთი პრინცი და აზნაური არ აღმოჩნდეს გაუჯობველი."

მსურდა აქ წერტილი დამესვა, მაგრამ არ შემიძლიან კასიოს ერთი ვერაგული მხარეც არ გამოვაქვეყნო: როდესად მოქ. ჩიქვინაია „ტრიბუნიდან" მას სასამართლოში გაწვეულად აცხადებდა, კასიომ საგანგებოდ გამომიგზავნა გრ. ცეცხლაძე, ხოლო რამდეხიმე დღის შემდეგ პირადად შემხვდა და ცეცხლაძის მოციქულობის საბაბი დაწვრილებით გამაცნო: სასამართლოს თავი გაანებოს თ. ჩიქვანაიამ, ვინაიდან საქმე პოლიტიკურ მიმართულებას იღებს და თავი მოსაკლავი მექნება, რომ ვისმეს ჩემით რამე დაუშავდესო, დაბოლოს მე ხომ ჯაშუში არა ვარო." მე არ ვიცი, რა პოლიტიკური აქციები უპყრავს ხელში მოქ. კასიოს, ის კი ვიცი, რომ მიუხედავად ჩემ მიერ მრავალი გაფრთხილებისა, მოქ. ჩიქვანაიამ მაინც არ დამიჯერა და სასამართლოს კარი შეაღო. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ კასიოს, ვერაგული რჩევით, რომ დადუმებული იყო იგი მაშინ ხომ, მართლაც, გასავალი ექნებოდა კასიოს ახალს ფუნდრუკს: დახეთ, დამემუქრნენ, მაგრამ სასამართლოში მისვლა ვერ მოახერხესო. ეხლა კი მოახერხეს, კასიო, მოახერხეს სასამართლოში მისვლა, საქმე ეს კი არაა, არამედ ის, რომ თქვენი უკანასკნელი გამოჯირითებით ერთხელ და უკანასკნელად დაამტკიცეთ მართლაც და მწერლობით აშორდითბა.

დამილოცნია, პატიოსანო კალმოსანო ასეთი „გამარჯვება!" მერმისშიაც ნუ აგცილდეთ ასეთი კეთილშობილება.

გაზ. „მწვერვალის" რედ.

დავ. კასრაძე.

—

**ამხ. რედაქტორო!**

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: დღემდე არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ვმუშაობდი. ამიერიდან მსურს მუშაობა საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაში, რომელიც მტკიცეთ იცავს ეროვნულ-სოციალისტურ მრწამსს.

ალ. ქაჯაია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა:** პირადობის მოწმობა და სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 2117, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელიარიიდან მიხეილ ივანეს ძე თავართქილაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 656 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4